

ნინო აბულაძე, 15 წლის

გარდაბნის რაიონ სოფელ ვაზიანიას N2 საჯარო სკოლის , მე-9 კლასის მოსწავლე

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

„საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სამშობლო იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. საქართველოს ხალხმა წარმოუდგენელი სიმძნელები და განსაცდელი გამოიარა და, ალბათ, თქვენ გესმით ჩემი და საქართველოს დელეგაციის თითოეული წევრის მღელვარება დღევანდელ ისტორიულ დღეს, როდესაც თქვენ საქართველოს გზა დაულოცეთ ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად. მე ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად პატივი აქ, ევროპის სასახლის ტრიბუნიდან წარმოეთქვა ქართულად ეს რამდენიმე სიტყვა: მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი... სამშობლოს მომავალს ჩვენ ვუკავშირებთ დაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნავსაყუდელში - ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან ოჯახში“. – ამ სიტყვებით ზურაბ ჟვანიაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მოკლე ისტორია მოგვითხრო.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ჩვენ ვიცით, რომ ქართლის ყოველი მეფე ცდილობდა ჩვენი სახელმწიფო თავისუფალი ყოფილიყო, თუმცა, ყოველთვის იყო მტერი, რომელსაც მისი დაპყრობა სურდა ხელსაყრელი მდებარეობისა თუ ნაყოფიერი მიწებისთვის და ისინი ქართლს მუდამ ართმევდნენ სიმშვიდეს. მეფე ერეკლეს ცდილობდა რომ ქართლს სიმშვიდეში ეცხოვრა და სამეფოს ყოველდღე ომისთვის არ ეყურებინა. ამიტომაც მან არჩია, ქვეყანა რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოლოდა. თუმცა რუსეთმა, რომელსაც არაერთხელ უღალატია, ამჯერადაც უღალატა მეფეს და გეორგიევსკის ტრაქტატი დაარღვია. 1795 წლის 4 სექტემბერს რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ საფუძველზე ქართლ-კახეთის საშველად 2 ბატალიონი გაეგზავნა, მაგრამ ამის შესახებ განკარგულება გენერალმა გუდოვიჩმა 1 ოქტომბერს მიიღო, მაშინ როცა თბილისი უკვე დანგრეული იყო. 1799 წელს საქართველოში რუსთა ჯარი შემოვიდა. 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა, 1801 წლის 12 სექტემბერს კი რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის მეფობის გაუქმების მანიფესტს მოაწერა ხელი. 1800 წლიდან განუწყვეტილად იყო აჯანყებები. 1804 წელს „ელაზნაურის ტრაქტატი“ დაიდო. 1804 წელს რუსეთის ჯარი იმერეთში შევიდა, 1810 წელს კი საჯაროდ გამოცხადდა იმერეთის სამეფოს გაუქმება. 1832 წლის შეთქმულებას ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში. რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემავალი ამიერკავკასიის გუბერნიებიდან შეიქმნა

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. მის შემადგენლობაში შედიოდა — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს რესპუბლიკა დაიშალა 1918 წლის 26 მაისს. ამავე დღეს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია. საქართველომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება 3 წლით შეძლო. 1921 წლის 25 თბერვალს საქართველოში რუსეთის წითელი არმია შემოვიდა. ქართველი ხალხი რუსეთის წითელი არმიის შემოსვლას არ შეეგუა და განუწყვეტლივ იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, ეს იქნებოდა ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირება. 1978 წელს მომზადებული იყო ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც ქართული ენის მაგივრად სახელმწიფო ენა რუსული უნდა ყოფილიყო.¹⁴ აპრილს პროტესტის ნიშნად სტუდენტები და ახალგაზრდები გამოვიდნენ რომლებიც ენის სტატუსის აღდგენას მოითხოვდნენ. მალევე ცნობილი გახდა რომ ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა. მოგვიანებით კი ქართველი ხალხის მიერ 1978 წელს მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა. ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ბრძოლა იყო 1989 წლის 9 აპრილი. აპრილის დასაწყისში ეროვნულმა მოძრაობამ რუსთაველის გამზირზე დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიტინგები დაიწყო, რაც ეროვნულ დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა. საქართველოს ხელისუფლებამ დახმარება მოსკოვს თხოვა. 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე თავი მოუყარეს მოსკოვიდან ჩამოყვანილი შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 1900 ჯარისკაცს. დილის 4 საათზე დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებით, მომწავლელი გაზით. რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა მთავრობის სახლის წინ მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო დარბევა მომიტინგეებს, მომიმშილე ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობა ქალი იყო. როცა მოედანი გაწმინდეს, 16 უსულო სხეული აღმოაჩინეს, აქედან 14 ქალი და 2 მამაკაცი იყო. საბჭოთა ჯარისკაცებთან შეტაკების შემდეგ მათ შორის აღმოჩნდა მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია და ირაკლი წერეთელი დააპატიმრეს. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ თბილისში კომენდატის საათი გამოცხადდა.

1989 წლის 9 აპრილის ღამემ გარდატეხა მოახდინა საქართველოს ისტორიაში - მან დამოუკიდებლობა მოუტანა ქართველ ერს. დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა 1989 წლის 9 აპრილის ღამის უკვდავსაყოფად 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპიბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

ზვიად გამსახურდია, 1991 წელი : „1985 წლიდან, როდესაც სსრკ-ის ახალმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ „პერესტროიკა“ გამოაცხადა, მისი საქმიანობის

მთავარ ასპარეზად იქცა საგარეო პოლიტიკა. საამრთლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსოფლიოში მოხდა ისტორიული ძვრები - ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან სბჭოთ კავშირის ჯარების გაყვანა... ეს და სხვა ქმედებანი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება „პერესტროიკას“, რომელიც გამოწველია საბჭოთ კავშირისადმი დასავლეთის სახელმწიფოთა, პირველ ყოვლისა, აშშ-ის დამოკიდებულებით. საბჭოთ კავშირი არ გარდაქმნილა თავისი სურვილით, იგი აიძულეს, საგარეო პოლიტიკაში „ახალი აზროვნების“ მიმართულებით ემოქმედა. რაც შეეხება სსრკ-ის საშინაო პოლიტიკას, მას არ განუცდია არანაირი, თუნდაც მცირედი ცვლილება. საგარეო დათმობების ხარჯზე საკუთრივ კავშირში იმრავლა შიდა იმპერიის შენარჩუნების მცდელობებმა, რაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთგვარ გადახალისებას წარმოადგენს და სხვას არაფერს. ერის თავისუფლება გულისხმობს მის თვითგამორკვევას, უფლებას, თავად იყოს საკუთრი ბედის განმგებელი“.

საქართველომ დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოპოვების შემდეგ უამრავი ახალი ნაბიჯი გადადგა: 1996 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება დაიდო. 1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი გახდა. ქვეყანას საშუალება მიეცა რომ უფრო განვითარებულიყო და მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა. თვისუფლებითვის ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში დღესაც საკმაოდ აქტუალურია. დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს იმას რომ ქვეყანას „ევროპულ ოჯახში დასაბრუნებელს გზას“ უფრო აშორებენ, რაც არ არის კარგი ჩვენი ქვეყნისთვის. მას შემდეგ, რაც საქართველომ პირველი ევროპული ჰუმანიტარული დახმარება მიიღო 30 წელზე მეტი გავიდა და იმ პერიოდიდან მოყოლებული, მთლიანობაში ევროკავშირმა საქართველოში 2,5 მილიარდ ევროზე მეტი ღირებულების პროექტები განახორციელა. ევროკავშირის დახმარება ასოცირებულია ისეთ წარმატებულ პროექტებთან, როგორებიცაა ენგურჰესის რეაბილიტაცია, სამტრედია-გრიგოლეთის მაგისტრალის მშენებლობა, ევროპული სკოლის დაარსება თბილისში, 2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდგომ 500 მილიონი ევროს ღირებულების დახმარება, რომლის დიდი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლების მშენებლობაზე დაიხარჯა, ასევე 2015 წლის წყალდიდობის შემდგომ 50 მილიონ ევრომდე დახმარება წყალდიდობის შედეგების აღმოსაფხვრელად, კოვიდ-პანდემიის პერიოდში 300 მილიონ ევრომდე ფინანსური დახმარების გამოყოფა, მათ შორის აღჭურვილობის გადმოცემა ჩვენი ჯანდაცვის სისტემისათვის და მედიკოსთა გადამზადება, განათლების მხარდაჭერა (Erasmus+), მათ შორის 6000-ზე მეტი სტუდენტის სწავლების დაფინანსება ევროპულ უნივერსიტეტებში, ქართველ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა მობილობების მხარდაჭერა და სხვა მრავალი, ამის მეშვეობით ჩვენ საშუალება გვეძლევა მივიღოთ ისეთი განათლება რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ვერ ვიღებთ. ჩემი აზრით ეს არის კარგი გზა იმისთვის რომ უფრო მეტი განათლებული ადამიანი იყოს ქვეყანაში. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება განათლებული მით უფრო მეტს

ეცოდინება თავისუფლების ფასი და ექნებათ სურვილი თავისუფალ სამყაროში ცხოვრების.

1991 წლეს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანამ ევროპისკენ სწრაფვა დაიწყო, რასაც რუსეთი ყოველთვის ხელს უშლიდა. როგორც წარსულში კვლავაც რუსეთმა გადაწყვიტა რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარეულიყო და ქვეყნის ევროპასთან დაახლოებისთვის შეეშალა ხელი, რის გამოც რუსეთმა ხელის შეშლის მიზნით საქართველოს ომში ჩართვა გადაწყვიტა, ისე, რომ, აგრესორი ქართული მხარე გამოსულიყო. ქართველები კი ყველაფრის ფასად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ და დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ რუსეთის 100 წელზე მეტ ხიანი მმართველობის შემდეგ. თანამედროვე საქართველოს ისტორიაში 2008 წლის 8 აგვისტოს ომი კარგი მაგალითია იმის თუ როგორ თავდადებით იბრძოდა პატარა ხალხი დიდი იმპერიის წინააღმდეგ დახმარების გარეშე იმისთვის რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. ეს ყველაფერი არ ყოფილა ადვილი, მათ შეძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება თუმცა დავკარგეთ ტერიტორიის 20%, რომელიც დღესდღეისობით ოკუპირებულია. 2008 წლის ივნის-ივლისში მკვეთრად მოიმატა შეიარაღებულმა პროვოკაციებმა ცხინვალის რეგიონში. ქართული სოფლებისთვის ცეცხლის გახსნა, გზების დანადგვა, მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 6-7 აგვისტოს ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი მოსახლეობის დასაცავად ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის ბრძანება გასცა, რასაც რუსეთის ფედერაციამ პირდაპირი სამხედრო აგრესიით უპასუხა. 2008 წლის 8 აგვისტოს ომში ბევრი მშვიდობიანი მოსახლეობა დაშავდა, ბევრიც გარდაიცვალა, ქვეყანამ კი შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. დღესდღეობითაც ვცდილობთ თავისუფლების შენარჩუნებას აქციებით, გამოსვლებით, გვსურს რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს და თავისუფალი და არა რუსეთის მმართველობის ქვეშ. რუსეთმა ბევრი ზაინი მოაყენა საქართველოს, ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამათ, აქედან არაერთი ჩვენი თანატოლის, მაგალითად ნათია ბაშალეიშვილი, 16 წლის, რომელიც 9 აპრილს, მომწავლელი გაზითა და ჭრილობებით ტრამვირებული გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ასფიქსიით გარდაიცვალა 17 აპრილს; ეკა ბეჟანიშვილი - 15 წლის. ჩვენს ქვეყანას ბევრი ღირსეული გმირი ყავს, მაგალითად გიორგი ანწუხელიძე, IV ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონის უმცროსი სერჟანტი, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი წამების შემდეგ მოკლეს ოსმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა; ქაქუცა ჩოლოყაშვილი რომელიც 1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ; ექვთიმე თაყაიშვილი რომლის მემშვეობითაც საქართველოში მნიშვნელოვანი საგანმურის არის შემონახული; ზვიად გამსახურდია; მერაბ კოსტავა; მარო მაყაშვილი; ალექსანდრე ონიანი; ზაზა დამენია და უამრავი სხვა რომლებიც მისი სამშობლოს კეთილდღობისთვის, იმისთვის რომ

მომავალ თაობას, ჩვენ, თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში გვეცხოვრა. საქართველოს ასევე ყავდა მტკიცე და გამორჩეული მხარდამჭერები: ჯონ მაკკეინი და ლეხ კაჩინსკი.

ჩემი აზრით რაც უფრო მეტს მივაწოდებთ ხმას უფრო მეტს ექნება დახმარების სურვილი, რაც უფრო მეტი გაიგებს ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ექნება ინფორმაცია დღევანდელ რეალობაზე რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, იმას თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლად არსებობა შეეძლოს, ქვეყანამ შეძლოს ის რომ სხვა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ არ იყოს. ყველა ვიმსახურებთ ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში სადაც, ჩვენ, ახალგაზრდებს, შეგვეძლება აზრის თავისუფლად გამოხატვა ისე, რომ ამისთვის შემდეგ პასუხი გვაგებინონ, მასწავლებლებს თუ იურიდიულ პირებს არ ექნებათ იმის შიში რომ თუ მათ აზრს საჯაროდ გამოხატავენ და სწორ მხარეს აირჩევენ მათ სამსახურიდან გაათავისუფლებენ.

მე მჯერა, რომ ქვეყნის ის ტერიტორიები, რომელიც დროებით ოკუპანტ რუსეთს აქვს დაკავებული, ერთ დღეს, ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება. თუ გავაგრძელებთ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, და შევეწინააღმდეგებით რუსულ მმართველობას და ავირჩევთ ევროპას ქვეყნის განვითარებისთვის შედეგი აუცილებლად გვექნება.

In English

„For centuries, our homeland has fought for independence, freedom, and the preservation of national identity. The people of Georgia have endured unimaginable hardships and trials, and perhaps you understand the emotion of myself and each member of the Georgian delegation on this historic day, as you bless Georgia’s path back to the European family. I am happy and proud that it is our generation that has the honor to speak these few words in Georgian from the tribune of the Palace of Europe: I am Georgian, and therefore I am European... We associate our country's future with a return to our only safe harbor — the united family of free European nations." With these words, Zurab Zhvania told us the short history of Georgia’s struggle for independence.

Our country has always fought to gain freedom and independence. Every king of Kartli tried to keep the state free, but there were always enemies who wanted to conquer Georgia due to its favorable location and fertile land. King Erekle also strived for peace in Kartli, to avoid constant warfare. For this reason, he chose to place the country under Russian protection. However, Russia, which had betrayed us before, broke the Treaty of Georgievsk once again. On September 4, 1795, the Russian government decided to send two battalions to aid Kartli-Kakheti, but the general received the order only on October 1, by which time Tbilisi had already been destroyed. In 1799, Russian troops entered Georgia. On December 28, 1800, King George XII died, and on September 12, 1801, the Russian Emperor signed the decree abolishing the Kartli-Kakheti monarchy.

From 1800 onward, uprisings were continuous. In 1804, the “Treaty of Elaznauri” was signed. In the same year, Russian troops entered Imereti, and by 1810, the abolition of the Imeretian Kingdom was officially announced. In 1832, leading Georgian nobles led a conspiracy. Later, the Transcaucasian Democratic Federative Republic was formed from the Transcaucasian provinces within the Russian Empire, which included Georgia, Armenia, and Azerbaijan. This republic dissolved on May 26, 1918. On the same day, Georgia declared independence and established the Democratic Republic of Georgia. Noe Jordania was elected as the head of government. Georgia maintained independence for three years.

On February 25, 1921, the Red Army of Russia invaded Georgia. The Georgian people did not accept this and continued their fight for freedom—whether through physical resistance or intellectual defiance. In 1978, a new draft constitution was prepared that would make Russian the state language instead of Georgian. On April 14, students and youth protested, demanding the restoration of Georgian as the state language. Soon after, it was announced that Georgian would retain its official status. To commemorate this victory, April 14 was declared the Day of the Mother Tongue.

One of the most significant and decisive struggles for our country came on April 9, 1989. In early April, the national movement began protests on Rustaveli Avenue demanding independence, which evolved into civil disobedience. The Georgian authorities sought help from Moscow. On April 9, Soviet troops attacked the demonstrators with batons, sharpened spades, and toxic gas. They violently cleared the square, killing 16 people—14 women and 2 men. One of the organizers, Irakli Batiashvili, miraculously survived. Leaders like Zviad Gamsakhurdia, Merab Kostava, Giorgi Chanturia, and Irakli Tsereteli were arrested. A curfew was declared in Tbilisi.

The night of April 9, 1989, was a turning point in Georgian history—it brought independence to the Georgian nation. On April 9, 1991, Zviad Gamsakhurdia, the first president of independent Georgia, officially declared the restoration of the Republic of Georgia’s independence.

Zviad Gamsakhurdia (1991) stated: "Since 1985, when the USSR’s new communist leadership announced 'perestroika,' its main focus became foreign policy. To be fair, historic changes occurred worldwide—like the fall of the Berlin Wall and the reunification of Germany, and the withdrawal of Soviet troops from Eastern Europe. These and other actions were largely connected to perestroika and Western pressure, especially from the United States. The USSR didn’t reform willingly—it was forced to. However, its domestic policy remained unchanged. Despite foreign concessions, the USSR sought to maintain its inner empire. True national freedom means self-determination—the right of a nation to control its own destiny."

Since regaining independence and freedom, Georgia has taken many new steps. In 1996, a partnership and cooperation agreement was signed with the European Union. In 1999, Georgia became the 41st member of the Council of Europe. This allowed the country to grow and establish friendly relations with neighboring states. Today, the fight for freedom remains relevant. Current realities show that the path back to the "European family" is becoming harder, which is a concern for our country. Since Georgia received its first European humanitarian aid over 30 years ago, the EU has implemented projects worth more than €2.5 billion. These include: Rehabilitation of Enguri HPP Construction of the Samtredia-Grigoleti highway, Establishment of the European School in Tbilisi, €500 million in post-war aid (2008), mainly for IDP housing, €50 million in flood recovery (2015), €300 million during the COVID-19 pandemic for equipment, training, and healthcare support, Erasmus+ funding for over 6,000 students in European universities, Support for Georgian scientists and cultural figures.

This gives us opportunities to receive education that may not be accessible within our country. In my view, this is a vital path to creating an educated generation. The more educated people we have, the more they will value freedom and desire to live in a free world. Since 1991, Georgia has pursued European integration—a process Russia has always obstructed. As in the past, Russia continues to interfere in our internal affairs and block closer ties with Europe. This led to the 2008 war, where Russia tried to portray Georgia as the aggressor. Despite the odds, the Georgian people fought valiantly to preserve their independence after over a century of Russian rule. The August 8, 2008 war is a modern example of how a small nation fought against a vast empire without help to protect its sovereignty. Though Georgia maintained its independence, we lost 20% of our territory, which remains occupied. By June–July 2008, armed provocations in the Tskhinvali region intensified. On August 6–7, Ossetian armed groups opened heavy fire on Georgian villages. The President ordered the military into the region to protect civilians, which Russia responded to with full-scale military aggression. Many civilians were injured or killed, but the country preserved its independence.

Today, we continue the fight for freedom—through protests and public actions. We want a free and independent nation, not one under Russian rule. Russia has caused great harm to Georgia, taking many innocent lives, including those of our peers. For example: Natia Bashaleishvili, 16, who died of asphyxiation on April 17 after being wounded on April 9. Eka Bejanishvili, 15. Georgia has many honorable heroes: Giorgi Antsukhelidze, junior sergeant tortured and killed during the 2008 war. Kakutsa Cholokashvili, leader of the 1922–1924 anti-Soviet partisan movement. Ekvtime Takaishvili, who preserved Georgia's national treasure. Zviad Gamsakhurdia, Merab Kostava, Maro Makashvili, Aleksandre Oniani, Zaza Damenia, and many more who sacrificed for our future. Georgia also had strong supporters abroad: John McCain and Lech Kaczyński.

In my opinion, the more we raise our voices, the more people will be willing to help. The more people understand our country's history and current reality, the more they'll see how vital our independence is. Everyone deserves to live in a country where young people can express themselves freely, where teachers and professionals aren't afraid of being punished for sharing their opinions. I believe that one day, the territories temporarily occupied by Russia will return to us. If we continue to fight for independence and freedom, and resist Russian rule while choosing Europe for our country's development, we will eventually succeed.